

სს აჭარა ტური

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(მომზადებული მსს ფასს-ის შესაბამისად)

და

დამოუკიდებელი აუდიტორების ანგარიში

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მპს გრანთ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

სს აჭარა ტურის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს აჭარა ტურის (შემდგომში “კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის

პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით მენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

შპს გრანტ თორნტონის სახელით:

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

სერტიფიცირებული აუდიტორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 202

- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

შპს გრანტ თორნტონის სახელით:

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

სერტიფიცირებული აუდიტორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309



თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 202

სს აჭარა ტური
ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	571,146	293,448
დებიტორული მოთხოვნები	6	367,940	412,048
გადახდილი ავანსები	7	208,708	103,111
მარაგები	8	1,201	2,400
წინასწარგადახდილი გადასახადები		44,738	53,822
მისაღები პროცენტები	10	14,005	14,005
		1,207,738	878,834
ძირითადი საშუალებები	9	903,415	963,853
არამატერიალური აქტივები		20,416	27,566
გრძელვადიანი მოთხოვნები	10	53,237	53,237
		977,068	1,044,656
სულ აქტივები		2,184,806	1,923,490
სავაჭრო ვალდებულებები		338,027	365,816
გადასახდელი ხელფასები		69,056	-
გადასახდელი გადასახადები		11,772	491
გადასახდელი დივიდენდები		1,239,406	1,100,000
მიღებული ავანსები		143,442	151,630
		1,801,704	1,617,937
სააქციო კაპიტალი		383,102	383,102
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		(0)	(77,549)
		383,102	305,553
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,184,806	1,923,490

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი:

ირაკლი თავართქილაძე

მთავარი ბუღალტერი:

ირაკლი ზაქარაძე

სს აჭარა ტური
ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	571,146	293,448
დებიტორული მოთხოვნები	6	367,940	412,048
გადახდილი ავანსები	7	208,708	103,111
მარაგები	8	1,201	2,400
წინასწარგადახდილი გადასახადები		44,738	53,822
მისაღები პროცენტები	10	14,005	14,005
		1,207,738	878,834
ძირითადი საშუალებები	9	903,415	963,853
არამატერიალური აქტივები		20,416	27,566
გრძელვადიანი მოთხოვნები	10	53,237	53,237
		977,068	1,044,656
სულ აქტივები		2,184,806	1,923,490
სავაჭრო ვალდებულებები		338,027	365,816
გადასახდელი ხელფასები		69,056	-
გადასახდელი გადასახადები		11,772	491
გადასახდელი დივიდენდები		1,239,406	1,100,000
მიღებული ავანსები		143,442	151,630
		1,801,704	1,617,937
სააქციო კაპიტალი		383,102	383,102
აკუმულირებული მოგება / (ზარალი)		(0)	(77,549)
		383,102	305,553
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,184,806	1,923,490

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი:

ირაკლი თავართქილაძე

მთავარი ბუღალტერი:

ირაკლი ზაქარაძე

სს აჭარა ტური
ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
საკომისიო შემოსავალი		879,134	38,630
სხვა შემოსავალი		405,542	37,597
სულ შემოსავალი		1,284,676	76,227
ხელფასები		(512,054)	(253,637)
ცვეთა და ამორტიზაცია		(71,607)	(80,100)
მარკეტინგი და რეკლამა		(39,578)	(41,386)
უიმედო ვალების ხარჯი		(138,229)	-
სხვა ხარჯები	11	(172,817)	(205,049)
სულ ხარჯები		(934,284)	(580,172)
საპროცენტო შემოსავალი		4,130	14,350
საპროცენტო ხარჯი		(2,449)	(4,640)
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		(25,118)	9,015
სულ ფინანსური მუხლები და საკურსო სხვაობები		(23,437)	18,725
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		326,955	(485,220)
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის წმინდა მოგება		326,955	(485,220)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ პერიოდის სრული შემოსავალი / (ზარალი)		326,955	(485,220)

სს აჭარა ტური
ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (არაპირდაპირი მეთოდი)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
პერიოდის მოგება / (ზარალი)		326,955	(485,220)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		71,607	80,100
ძირითადი საშუალებების გასვლა		-	815
საპროცენტო ხარჯი		2,449	4,640
საპროცენტო შემოსავალი		(4,130)	(14,350)
მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		25,118	(9,015)
უიმედო ვალის ხარჯი		138,229	-
		560,227	(423,030)
ცვლილება სავაჭრო დებიტორებში		44,107	317,824
ცვლილება გადახდილ ავანსებში		(105,597)	85,868
ცვლილება ავანსად გადახდილ გადასახადებში		9,084	1,145,566
ცვლილება მარაგებში		1,199	(1,431)
ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში		(22,394)	(349,222)
ცვლილება გადასახდელ ხელფასებში		69,056	(172,944)
ცვლილება გადასახდელ გადასახადებში		11,282	-
ცვლილება მიღებულ ავანსებში		(8,187)	50,768
		558,778	653,399
გადახდილი პროცენტები		-	(4,640)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
სულ ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		558,778	648,759
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენაზე გადახდილი ფული		(5,395)	(1,690)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		-	-
მიღებული პროცენტი		4,130	14,318
		(1,265)	12,628
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(110,000)	(800,000)
სულ ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(110,000)	(800,000)
გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტი		(169,815)	15,450
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (შემცირება)		277,698	(123,163)
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი		293,448	416,611
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი		571,146	293,448

სს აჭარა ტური
ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ
2019 წლის 31 დეკემბრისათვის	383,102	407,671	790,773
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)	-	(485,220)	(485,220)
სხვა სრული შემოსავლები	-	-	-
<i>სულ პერიოდის სრული შემოსავალი / (ზარალი)</i>	<i>-</i>	<i>(485,220)</i>	<i>(485,220)</i>
აქციების გამოშვება	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-
<i>სულ ოპერაციები მფლობელებთან</i>	<i>-</i>	<i>-</i>	<i>-</i>
2020 წლის 31 დეკემბრისათვის	383,102	(77,549)	305,553
პერიოდის წმინდა მოგება / (ზარალი)	-	326,955	326,955
სხვა სრული შემოსავლები	-	-	-
<i>სულ პერიოდის სრული შემოსავალი / (ზარალი)</i>	<i>-</i>	<i>326,955</i>	<i>326,955</i>
აქციების გამოშვება	-	-	-
გამოცხადებული დივიდენდები	-	(249,406)	(249,406)
<i>სულ ოპერაციები მფლობელებთან</i>	<i>-</i>	<i>(249,406)</i>	<i>(249,406)</i>
2021 წლის 31 დეკემბრისათვის	383,102	(0)	383,102

სს აჭარა ტური
ფინანსური ანგარიშგება
2021 წელი
თანხები წარდგენილია ლარში

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

სს „აჭარა ტური“ დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც ოპერირებს თბილისში საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანია დაარსდა 2006 წლის 23 იანვარს.

კომპანიის 100%-იანი მფლობელი არი სს "მეტრო ჯორჯია", ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან სს მეტრო ავრასია ინვესტმენტ ჯორჯია და მშს სდფ არეა (445543939), 50-50%-ზე პროპორციით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტურისტული მომსახურებების გაწევა.

კომპანიის ფაქტობრივი და რეგისტრირებული მისამართი საქართველო, ქ. ბათუმი, მელიქიშვილის ქ. N32/48

2 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია "მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი საადრიცხო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში.

როგორც მე-X შენიშვნაშია განმარტებული კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

3 მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული საადრიცხო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამომდინარეობასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამომდინარე შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. საადრიცხო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4 საკომისიო შემოსავლები

კომპანია წარმოადგენს ტურ-ოპერატორს, რომელიც კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნად გამომდინარე, გეგმავს სხვადასხვა ტურებს, როგორც ქვეყნის გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით. კომპანია ძირითად შემთხვევაში სხვადასხვა კომპანიებისგან ყიდულობს საქონელსა და მომსახურებას (სასტუმრო, სატრანსპორტო, სხვა მომსახურება და სხვადასხვა ბილეთები) , რომელზეც კონტროლს იძოვებს პირდაპირ მომხმარებელი, შესაბამისად კომპანია არის შუამავალი თავის გარიგებებში, რის გამოც ის გაწეული მომსახურებებიდან მიღებულ შემოსავლებსა და შესყიდული მომსახურების ღირებულებას წარადგენს დანეტებულად მსს ფასს-ის 23.4 პუნქტის მიხედვით.

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
ფული საღაროში	68,962	118,859
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე	51,738	163,646
ფული ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებზე	450,446	10,943
სულ	571,146	293,448

ფულადი სახსრების ნაშთები ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ვალუტა	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
ლარი	101,300	266,740
აშშ დოლარი	469,573	15,325
ევრო	(1)	10,894
თურქული ლირა	274	490
სულ	571,146	293,448

6 დებიტორული მოთხოვნები

	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
სავაჭრო მოთხოვნები	367,866	358,729
მისაღები საიჯარო ქირა	-	42,694
სხვა მოთხოვნები	75	10,625
სულ	367,940	412,048

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ არიან ვადაგადაცილებული და შესაბამისად არც გაუფასურებული.

7 გადახდილი ავანსები

	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	-	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	208,640	103,111
სხვა ავანსები	68	-
სულ	208,708	103,111

8 მარაგები

	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
საწვავი	187	169
საოფისე ინვენტარი	-	593
სხვა	1,014	1,638
სულ	1,201	2,400

9 ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	საოფისე აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული აქტივების კეთილმოწყობა	სულ
<i>ისტორიული ღირებულება</i>					
2019 წლის 31 დეკემბერი	1,086,578	115,308	8,590	33,238	1,243,714
დამატება	-	1,573	117	-	1,690
გასვლა	-	(35,970)	(2,679)	-	(38,649)
2020 წლის 31 დეკემბერი	1,086,578	80,911	6,027	33,238	1,206,755
დამატება	-	4,019	-	-	4,019
გასვლა	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	1,086,578	84,931	6,027	33,238	1,210,774
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>					
2019 წლის 31 დეკემბერი	133,483	56,760	2,844	14,699	207,786
პერიოდის ცვეთა	44,231	22,827	1,144	4,748	72,950
გასული აქტივების აკუმულირებული ცვეთა	-	(36,029)	(1,805)	-	(37,834)
2020 წლის 31 დეკემბერი	177,713	43,559	2,182	19,448	242,902
პერიოდის ცვეთა	44,231	14,284	1,205	4,736	64,457
გასული აქტივების აკუმულირებული ცვეთა	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	221,944	57,843	3,388	24,184	307,359
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>					
2019 წლის 31 დეკემბერი	953,095	58,548	5,746	18,539	1,035,928
2020 წლის 31 დეკემბერი	908,865	37,352	3,845	13,790	963,853
2021 წლის 31 დეკემბერი	864,634	27,088	2,640	9,053	903,415

კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული რაიმე იურიდიული შეზღუდვით ან გამოყენებული გირაოდ რაიმე ვალდებულების საპირისპიროდ.

10 გრძელვადიანი მოთხოვნები

კომპანიამ 2017 წლის მარტში გასცა სესხი ერთ-ერთ მსესხებელ ქართულ კომპანიაზე. 2018 და 2019 წლების განმავლობაში მსესხებლის მხრიდან არ მოხდა სესხის თანხების დაბრუნება, რაც სესხის პირობების მიხედვით უნდა განხორციელებულიყო, რის გამოც კომპანიამ დაიწყო სასამართლო დავა, რომელიც მიმდინარე პერიოდისთვის დასრულებულია და სასამართლოს მიერ მსესხებელს დაეკისრა ძირისა და პროცენტის გადახდა.

სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად, თანხა დღემდე გადაუხდელია, თუმცა კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მოთხოვნა არ უნდა გაუფასურდეს, რადგან მსესხებელ კომპანიას თურქეთიდან იჯარით ყავს შემოყვანილი იახტა, რომელიც გაცემული აქვს სხვა კომპანიაზე და სს აჭარა ტურის მენეჯმენტის მიერ დაძრულია საკითხი, რომ აღნიშნული იახტა დაუბრუნდეს მსესხებელს და შემდეგ მმართველობაში აიღოს სს აჭარა ტურმა, რა დროსაც მოხდება სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის გაქვითვა.

მოთხოვნა კლასიფიცირებულია გრძელვადიანად, რადგან კომპანია ვარაუდობს, რომ მსესხებლის მიერ ვალდებულების დაფარვა მოხდება საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეზე მეტი ხნის შემდეგ.

11	სხვა ხარჯები	Year 2021	Year 2020
	ტენდერში მონაწილეობის ხარჯი	47,929	-
	იჯარის ხარჯები	25,056	19,824
	პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერის ხარჯები	21,469	8,644
	კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	17,060	13,386
	წარმომადგენლობითი ხარჯები	10,578	105,360
	ბანკის საკომისიო	8,040	4,118
	დაცვა	3,390	3,407
	საკანცელარიო	1,445	1,212
	სხვა ხარჯები	37,850	49,098
	სულ	172,817	205,049

12 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ვალუტების მიხედვით

მუხლი	აშშ დოლარი	ევრო	თურქული ლირა	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	469,573	(1)	274	101,300	571,146
დებიტორული მოთხოვნები	105,089	-	-	262,852	367,940
მისაღები პროცენტები	-	-	-	14,005	14,005
გრძელვადიანი მოთხოვნები	-	-	-	53,237	53,237
	574,662	(1)	274	431,394	1,006,328
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	22,657	0	-	315,370	338,027
გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	1,239,406	1,239,406
	22,657	0	-	1,554,776	1,577,433
წმინდა სავალუტო პოზიცია	552,005	(1)	274	(1,123,382)	(571,105)

13 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მუხლი	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლ ქვეშ	ბენეფიციარი მფლობელები	ხელმძღვანელი პირები	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება					
დებიტორული მოთხოვნები	-	-	85,954	-	85,954
გადახდილი ავანსები	-	-	-	-	-
მისაღები პროცენტები	-	-	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	3,587	211,642	-	-	215,229
გადასახდელი დივიდენდები	1,239,406	-	-	-	1,239,406
მიღებული ავანსები	-	-	-	-	-
სრული შემოსავლის ანგარიშგება					
მომსახურების / საქონლის რეალიზაცია	-	-	-	-	-
მომსახურების / საქონლის შეძენა	189,362	10,200	-	-	199,562
ხელფასი და სხვა სარგებელი	-	-	-	83,613	83,613

14 ძირითადი საადრინცხო პოლიტიკის მიმოხილვა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმომოხილ კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	1 აშშ დოლარი	1 ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766 ლარი	4.0233 ლარი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976 ლარი	3.504 ლარი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმომობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	30
მანქანა დანადგარები	5
ავტომობილები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანია ფლობს განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის

დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ან ზარალში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯების, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ზაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან საზაზინო კოდზე. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

შემოსავალი საკომისიოდან

ტურებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. კომპანია ყველა სააგენტო ურთიერთობაში გამოდის რწმუნებულის როლში, ამიტომ ამონაგებში რთავს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებულ თანხებს. კომპანიისთვის მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები ამონაგები არ არის.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

მფლობელთა კაპიტალი

კომპანიის მფლობელთა კაპიტალი მოიცავს სააქციო კაპიტალს და აკუმულირებულ მოგებას/ზარალს.

კომპანიის განთავსებული სააქციო კაპიტალი საანგარიშგებო თარიღისათვის შედგება 11,000 ცალი ჩვეულებრივი აქციისაგან, რომელთა ერთეულის ნომინალური ღირებულებაა 100 ლარი. ჯამურად, საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიის განთავსებული კაპიტალი არის 1,100,000 ლარი, ხოლო შევსებული (გადახდილი) კაპიტალი არის 383,102 ლარი.

აკუმულირებული მოგება / (ზარალი) მოიცავს კომპანიის არსებობის მანძილზე გამომუშავებულ მთლიან აკუმულირებულ მოგებას (განკლილ ზარალს), რაც შემცირებულია ამავე დროის განმავლობაში განაწილებული დივიდენდებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს შემდეგ პირებს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.